



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 603
29/03/2018

ქალაქი ბათუმი

603-05-4-201803291504



გიორგი ბერიძის - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებლისა კახაბერ ფუტკარაძის - მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების უფროსის ქალაქ თბილისში სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში მივლინების შესახებ

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს - საქართველოს ორგანული კანონის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამსახურის შესახებ“ - საქართველოს კანონის 51-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, მირიან კვიციანიძის 2018 წლის 29 მარტის №877-05 მოხსენებითი ბარათისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოდან შემოსული 2018 წლის 28 მარტის №5092/05 წერილის საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. გიორგი ბერიძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი და კახაბერ ფუტკარაძე - ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - შესყიდვების განყოფილების II რანგის უფროსი მივლინებული იქნენ ქ. თბილისში სსიპ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში საჩივრის განხილვასთან დაკავშირებით, 2018 წლის 29 მარტიდან 31 მარტის ჩათვლით.

2. ქ. თბილისში გადაადგილება მოხდეს ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის ბალანსზე რიცხული ავტომანქანა „მიცუბიში აუთლენდერი“ სახელმწიფო ნომრით IJL-101 და გამოეყოს 150 ლიტრი ბენზინის საწვავი.

3. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურმა (ტ. ნაკაშიძე) და მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ეკონომიკის, ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და შესყიდვების სამსახურმა (მ. კვიციანიძე) უზრუნველყონ სამივლინებო ხარჯების ანაზღაურება და საწვავის გამოყოფა.

4. ბრძანების გაცნობა დაინტერესებულ პირზე დაევალოს მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის - ადმინისტრაციული სამსახურის, მეორადი სტრუქტურული ერთეულის - მოქალაქეთა მომსახურებისა და საქმისწარმოების განყოფილებას.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარისათვის მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა

